

სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზაცია: უფრო ახლოს, ვიდრე ოდესმე?!

ზვიად ცეცხლაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა,
კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)
(მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი- გიორგი სანიკიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზვიად ცეცხლაძე, 01.02.2022

სარჩევი

განაცხადი.....	ii
სარჩევი.....	iv
მადლობა.....	v
აბსტრაქტი.....	vii
შესავალი	1
კვლევა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ქრილში.....	1
ლიტერატურის მიმოხილვა.....	4
თავი 1. სომხეთ-თურქეთის ურთიერთობები 1991-2010 წლებში	7
1.1. შენელებული ურთიერთობები: 1991-2008 წლებში.....	7
1.1 თურქეთის-სომხეთის საზღვარი და აზერბაიჯანის ფაქტორი.....	8
1.2 სომხეთ-თურქეთის ნორმალიზაციის პროცესი და საერთაშორისო ჩართულობა.....	10
1.3 თურქეთ-სომხეთის დაახლოების წარუმატებელი მცდელობები.....	12
თავი 2. სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ხელის შეშლელი/შემწყობი ფაქტორები:	14
2.1. „სომხური გენოციდი“ როგორც ხელის შეშლელი ფაქტორი.....	14

2.2 სომხეთის ხელისუფლებების ჭიდილი „სომხურ დიასპორასთან“	18
2.3. სამოქალაქო საზოგადოების როლი ჩატეხილი ხიდის მშენებლობაში.....	19
თავი 3. რა შეცვალა ყარაბახის მეორე ომმა სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებში?!.....	23
3.1 ყარაბახის „ტყვეობას“ დაღწეული სომხეთი და თურქეთი“	23
3.2. თურქეთ-სომხეთის სავაჭრო ურთიერთობებისა და საკომუნიკაციო არხების პოტენციალი;.....	26
3.3. საზღვრის გახსნა- ვისტევის უფრო მნიშვნელოვანი, სომხეთისთვის თუ თურქეთისთვის?!.....	29
3.4 რუსეთი, კვლავ გადამწყვეტი ფაქტორი სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზაციაში?!.....	34
3.5 საქართველოს ადგილი სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის შემთხვევაში.....	36
დასკვნა და რეკომენდაციები.....	38
ბიბლიოგრაფია.....	42

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი სანიკიძეს. მთელი ამ სემესტრის განმავლობაში მისი დამოკიდებულებისა და გაწეული შრომის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის მომზადება. მოხარული ვარ, რომ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი მთლიანად ბატონ გიორგისთან ერთად წარიმართა. მისი მეშვეობით შევძელი მიმართულების სწორად განსაზღვრა და ნაშრომის დასაწერად საჭირო მასალების მოგროვება, დახარისხება, სტრუქტურის შედგენა. ნაშრომის წერის დროს გაჩენილ ბევრ შეკითხვაზე შესაბამისი პასუხების გაცემა მხოლოდ ჩემი ხელმძღვანელის აქტიურობისა და მხარდაჭერის შედეგია. მადლობას ვუხდით პროფესორ გიორგი სანიკიძეს თანამშრომლობისთვის, რადგან მისი კომპეტენტური და პროფესიონალური რჩევების გარეშე კვლევის სწორად წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა.

აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ორი მეზობელი ქვეყნის, სომხეთ-თურქეთის მრავალწლიანი „გაყინული“ ურთიერთობები, რომლის ნორმალიზაციის პერსპექტივები დღითიდღე უფრო მეტად იზრდება. ნაშრომის მიზანია დეტალურად განიხილოს სომხურ-თურქული ურთიერთობების განვითარების ქრონოლოგიური ისტორია, ნორმალიზაციის ხელმოცარული მცდელობები და გამოწვევები, რის გამოც დღემდე ვერ ახერხებს ეს ორი ქვეყანა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს აქამდე ჩატარებული სამეცნიერო პუბლიკაციების სიღრმისეულ შესწავლასა და ამ ნაშრომის აღმოჩენებისა და შედეგების შეჯერებას.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალისგან. პირველი თავში განხილულია ორი ისტორიულად მეზობელი სახელმწიფოს საზღვრის ჩაკეტვის მიზეზები და ფაქტორები, რის „ტყვეობაშიც“ დღემდე იმყოფებიან თურქეთი და სომხეთი. მეორე თავში საუბარი შეეხება იმ საერთაშორისო აქტორების გავლენებს, რომლებიც ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზაციაში. ასევე ამავე თავში განხილულია ის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა თურქეთ-სომხეთის საზღვრების გახსნა. მესამე თავი ყურადღებას ამახვილებს რეგიონში შეცვლილ გეოპოლიტიკურ სურათზე, რომელიც თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის შესაძლებლობის ფანჯარას ხსნის.

დასკვნა აჯამებს კვლევის შედეგებს, ავტორის რეკომენდაციებსა და შეფასებას აღნიშნულ საკითხზე. ავტორი დროს წინ უსწრებს და ანალიტიკურად განიხილავს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების განვითარების შესაძლო გზას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თურქეთ-სომხეთის ურთიერთობები, ნორმალიზაცია, ყარაბაღის ომი, გენოციდი.

The aim of this paper is to discuss about long-standing "frozen" relations the prospects of normalization of which are growing day by day between the two neighboring countries, Armenia and Turkey. The paper identifies in detail the chronological history of the development of Armenian-Turkish relations as well as failed attempts and challenges at normalization.

The study is based on the theoretical framework of Neorealism and qualitative research method has been used as a research method. Author studies all scientific books, journals and publications conducted regarding this topic and summarizes them with his research findings and results.

The paper consists of an introduction, three chapters, conclusions and a list of references. The first chapter represents the period of relations between Turkey and Armenia from 1991 to 2010. The second chapter discusses the challenges on the normalization between Turkey and Armenia the last one talks about the perspectives and readiness of the state actors for opening their borders.

Key words: Normalization, Turkish-Armenian relations, Karabakh war, genocide.